ტესტი ისტორიაში

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-35.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი ინფორმაციაა მართებული ეხნატონის შესახებ?

ა) გაიყვანა ნილოსისა და წითელი ზღვის დამაკავშირებელი არხი;

ბ) საფუძველი ჩაუყარა პირამიდების მშენებლობას;

გ) შექმნა ჯარის ახალი საბრძოლო წყობა ფალანგა;

დ) გაატარა რელიგიური რეფორმა.

(1) 2. რომელი ინფორმაციაა მართებული ზოროასტრიზმის შესახებ?

ა) პირველად იქადაგა კონფუციმ;

ბ) უზენაესი ღვთაება იყო აჰურამაზდა;

გ) თავდაპირველად გავრცელდა ძველ ეგვიპტეში;

დ) სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა ხალიფა მოავიამ.

(1) 3. ვინ მეთაურობდა ბერძენთა ლაშქარს თერმოპილეს ბრძოლაში?

ა) მილტიადესი;

ბ) ლიკურგოსი;

გ) ლეონიდასი;

დ) პერიკლე.

(1) **4. რომელი ინფორმაციაა მართებული ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შესახებ?**

ა) უბრძოლველად დაიკავა მთელი ინდოეთი;

ბ) პერსეპოლისის აღების შემდეგ ჯარის მოთხოვნით შეწყვიტა ლაშქრობა;

გ) ანკარასთან ბრძოლაში დაამარცხა სპარსეთის მეფე დარიოს III;

დ) ქალაქი ტვიროსი მხოლოდ ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღო.

(1) **5. რომელი ორგანო წყვეტდა რომის რესპუბლიკაში საგარეო პოლიტიკის, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს?**

ა) არეოპაგი;

ბ) დირექტორია;

გ) ტრიბუნალი;

დ) სენატი.

(1) **6. რა იყო იმპერატორ ტრაიანეს მიერ აღმოსავლეთში გატარებული პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი?**

ა) სელევკიდების სამეფოს განადგურება;

ბ) პონტოს დიოცეზის გაუქმება;

გ) პროვინცია არმენიის ჩამოყალიბება;

დ) ბოსფორის სამეფოში კოლონიების დაარსება.

(1) 7. რომელი ინფორმაციაა მართებული ოსტგოთების მმართველის თეოდორიხის შესახებ?

ა) სამეფოს ახალი დედაქალაქი პალერმო დააარსა;

ბ) მადიარების ბელადს არპადს დაუპირისპირდა;

გ) ბიზანტიის იმპერატორის ზენონის მოკავშირე იყო;

დ) ქალაქი ალექსანდრია აიღო და დაარბია.

(1) 8. რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ ნიკას სახელწოდებით ცნობილი აჯანყების მონაწილე მწვანეთა პარტიის წევრები?

ა) ვაჭართა;

ბ) სამხედროთა;

გ) არისტოკრატთა;

დ) მიწათმოქმედთა.

(1) **9. რა მოვლენაზე მოგვითხრობს გრიგოლ ტურელი?**

ა) კარლოს დიდის იმპერატორად კურთხევაზე;

ბ) მეფე არტურის ბრიტებთან ბრძოლაზე;

გ) კარლოს მარტელის მიერ არაბების დამარცხებაზე;

დ) მეფე ხლოდვიგის გაქრისტიანებაზე.

(1) 10. ვის დასასჯელად ილაშქრა საქართველოში 853 წელს ბუღა თურქმა?

ა) კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკეს;

ბ) აფხაზთა მეფე ლეონის;

გ) თბილისის ამირა საჰაკის;

დ) ტაოს კურაპალატ ადარნასეს.

(1) 11. ვის თავდასხმებს განიცდიდა ინგლისი IX საუკუნეში?

ა) მავრების;

ბ) გალების;

გ) კელტების;

დ) ნორმანების.

(1) 12. ვინ აღორძინა ევროპაში, კარლოს დიდის შემდეგ, იმპერიის შექმნის იდეა X საუკუნეში?

ა) საფრანგეთის მეფემ ლუი I-მა;

ბ) ესპანეთის მეფემ ფილიპე I-მა;

გ) გერმანიის მეფემ ოტო I-მა;

დ) იტალიის მეფემ დეზიდერიუს I-მა.

(1) 13. რა იყო პაპ გრიგოლ VII-სა და იმპერატორ ჰაინრიხ IV-ს შორის დაპირისპირების მთავარი საკითხი XI საუკუნის 70-80-იან წლებში?

ა) ომაჟი;

ბ) ინვესტიტურა;

გ) ბენეფიციუმი;

დ) მაიორატი.

(1) **14. რომელი მსჯელობაა მართებული მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ?**

ა) სალადინის მიერ იერუსალიმის აღებამ ევროპელ მონარქებს ახალი ლაშქრობისკენ უბიძგა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე რიჩარდ ლომგული იერუსალიმთან ბრძოლისას ტყვედ ჩავარდა და ლაშქრობა შეწყდა;

ბ) ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი ჯარი საფრანგეთის მეფე ფილიპე ლამაზს ჰყავდა. მიუხედავად ამისა, ბიზანტიის იმპერატორთან დაპირისპირების გამო მცირე აზიაში მარცხი იწვნია და უკან დაბრუნდა;

გ) რომის პაპ ინოკენტი III-ის მოწოდებას მხოლოდ ვენეციის დოჟი ენრიკო დანდოლო გამოეხმაურა. მის მიერ შეკრებილ მცირერიცხოვან ჯარს სერიოზული წარმატების მიღწევა არ შეეძლო და ნიკეის აღებით დაკმაყოფილდა;

დ) იმპერატორმა ფრიდრიხ ბარბაროსამ იერუსალიმზე სალაშქროდ სახმელეთო გზა აირჩია და მცირე აზიაში წარმატებასაც მიაღწია, თუმცა გზაში დაიღუპა და მისმა ჯარმა ლაშქრობა ფაქტობრივად შეწყვიტა.

(1) **15. რომელ ქალაქში დაარსდა ყველაზე ადრე უნივერსიტეტი?**

ა) პრაღაში;

ბ) ლონდონში;

გ) ბოლონიაში;

დ) მადრიდში.

(1) **16. რამ შეუშალა ხელი საქართველოს მეფეს დახმარებოდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებს?**

ა) ორბელების აჯანყებამ;

ბ) მონღოლებთან დამარცხებამ;

გ) სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებამ;

დ) შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებამ.

(1) 17. რომელი ქალაქის აღებაში მონაწილეობდნენ ქართველები მონღოლებთან ერთად XIII საუკუნის 50-იან წლებში?

ა) ნიკეის;

ბ) ბაღდადის;

გ) ანტიოქიის;

დ) კაიროს.

(1) **18. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი XVI საუკუნეში გერმანიაში პროტესტანტობის გავრცელებას?**

ა) იმპერატორსა და პაპს შორის გაჩაღებულმა ბრძოლამ რაინის კავშირში გაბატონებისთვის;

ბ) პროტესტანტული ესპანეთის სამეფო კარის მიერ გაწეულმა სამხედრო დახმარებამ;

გ) ფეოდალიზმის სისუსტემ, რაც გლეხებს სარწმუნოების არჩევის უფლებას ანიჭებდა;

დ) დეცენტრალიზაციამ, რაც მთავრებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების საშუალებას აძლევდა.

(1) 19. რომელი ინფორმაციაა მართებული XVI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ?

ა) დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროში მოექცა;

ბ) საქართველომ ტრაპიზონის იმპერიაზე კონტროლი აღადგინა;

გ) დასრულდა მონღოლთა ასწლოვანი ბატონობა;

დ) დაიწყო თემურ ლენგის შემოსევები.

(1) 20. რომელი პროტესტანტული მიმდინარეობა გავრცელდა ნიდერლანდებში XVI საუკუნის მეორე ნახევარში?

ა) ალბიგოური;

ბ) მეთოდისტური;

გ) კალვინისტური;

დ) ჰუსიტური.

(1) **21. რომელი მსჯელობაა მართებული XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ?**

ა) დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად აღმოსავლეთ საქართველო მაინც ირანის გავლენის სფეროში დარჩა;

ბ) ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავით ქართლი ოსმალეთის, ხოლო კახეთი ირანის გავლენის სფეროში მოექცა;

გ) იმერეთის მეფემ დასავლეთ საქართველო საკუთარი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა, თუმცა სამცხის სამთავრო ვერ შემოიერთა;

დ) ოდიშისა და გურიის მთავრებმა ოსმალთა და ჩრდილოკავკასიელთა მარბიელი თავდასხმები აღკვეთეს და ადამიანებით ვაჭრობა საბოლოოდ აღმოფხვრეს.

(1) 22. XVII საუკუნეში ევროპაში მიმდინარე რომელი კონფლიქტის დროს გაიმართა ნეიზბის (ნეისბის) ბრძოლა?

ა) ასწლიანი ომის;

ბ) ინგლისის სამოქალაქო ომის;

გ) ნიდერლანდების რევოლუციის;

დ) საფრანგეთის დიდი რევოლუციის.

(1) **23. რა იყო ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთი შედეგი?**

ა) საფრანგეთი ტერიტორიულად გაფართოვდა;

ბ) ესპანეთის მმართველი დინასტია შეიცვალა;

გ) ინგლისმა ჩრდილოეთ გერმანიის საპორტო ქალაქები დაიკავა;

დ) პოლონეთის სამეფომ საღვთო რომის იმპერიისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა.

(1) 24. სად ილაშქრა გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტემ დირექტორიის მმართველობის დროს?

ა) ინდოეთში;

ბ) ეგვიპტეში;

გ) სპარსეთში;

დ) ალჟირში.

(1) **25. რომელი სახელმწიფო *არ მონაწილეობდა* ყირიმის ომში?**

ა) საფრანგეთი;

ბ) ინგლისი;

გ) სარდინია;

დ) პრუსია.

(1) **26. რომელი ინფორმაციაა მართებული 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი შედეგის შესახებ?**

ა) მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუი-ნაპოლეონი გახდა;

ბ) დროებითმა მთავრობამ კონსტიტუციური მონარქია გამოაცხადა;

გ) ვალუების დინასტიის მმართველობა სამუდამოდ დასრულდა;

დ) გენერალმა ფოშმა ერთპიროვნული მმართველობა დაამყარა.

(1) 27. რა გამოიყენეს პირველად 1915 წელს იპრის ბრძოლაში?

ა) ბირთვული იარაღი;

ბ) ქიმიური იარაღი;

გ) არტილერია;

დ) წყალქვეშა ნავი.

(1) **28. რომელი მსჯელობა *არ არის* მართებული რუსეთის თებერვლის რევოლუციის შესახებ?**

ა) იმპერატორი სიკვდილით დასაჯეს;

ბ) ორხელისუფლებიანობა დამყარდა;

გ) ჯარის ნაწილი მანიფესტანტების მხარეს გადავიდა;

დ) მთავრობაში კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას დიდი გავლენა ჰქონდა.

(1) **29. როგორი იყო საფრანგეთის პოზიცია გერმანიის მიმართ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამართულ პარიზის კონფერენციაზე?**

ა) მხარს უჭერდა მაქსიმალურად დასუსტებას;

ბ) მოითხოვდა ანტანტის პროტექტორატის დამყარებას;

გ) თვლიდა, რომ საჭიროა რამდენიმე სახელმწიფოდ დაშლა;

დ) ცდილობდა დახმარებოდა ევროპაში ბალანსის შესანარჩუნებლად.

(1) **30. რომელმა პოლიტიკურმა პარტიამ მოიპოვა უმრავლესობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში 1919 წელს?**

ა) სოციალ-დემოკრატიულმა;

ბ) სოციალისტ-ფედერალისტთა;

გ) ეროვნულ-დემოკრატიულმა;

დ) სოციალისტ-რევოლუციონერთა.

(1) **31. რომელი ინფორმაციაა მართებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულების შესახებ?**

ა) ცდილობდა არ დაეშვა საქართველოს დელეგაცია პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე;

ბ) ხელს უშლიდა წარმოების საყოველთაო ნაციონალიზაციას;

გ) მხარს უჭერდა ეთნიკურ დაპირისპირებებსა და სეპარატისტულ მოძრაობებს;

დ) ქართველი კომუნისტების დახმარებით აღვივებდა რელიგიურ შუღლს აფხაზეთში.

(1) **32. რა მოიმოქმედა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ?**

ა) ხელი მოაწერა კაპიტულაციას;

ბ) ემიგრაციაში წავიდა;

გ) დახმარებისათვის გერმანიას მიმართა;

დ) დადო ხელშეკრულება თეთრგვარდიელებთან.

(1) 33. რომელი ევროპული სახელმწიფოს ანშლუსი მოხდა 1938 წელს?

ა) ჩეხოსლოვაკიის;

ბ) ავსტრიის;

გ) ბელგიის;

დ) დანიის.

(1) **34. რამ განაპირობა საბჭოთა კავშირის ერთა ლიგიდან გარიცხვა?**

ა) ფინეთზე თავდასხმამ;

ბ) ბალტიისპირეთის ქვეყნების ანექსიამ;

გ) გერმანიასთან ერთად პოლონეთის ოკუპაციამ;

დ) ბესარაბიისა და აღმოსავლეთ ბუკოვინის მიერთებამ.

(1) **35. რას გულისხმობდა მეორე მსოფლიო ომის დროს ჩატარებული სამხედრო ოპერაცია „ოვერლორდი“?**

ა) კუნძულ სახალინის სამხრეთ ნაწილის დაკავებას;

ბ) თავდაცვით ბრძოლებს სამხრეთ იტალიაში;

გ) დესანტის გადასხმას ჩრდილოთ საფრანგეთში;

დ) მოკავშირეთა შეტევას დასავლეთ აფრიკაში;

ინსტრუქცია დავალებისათვის № 36.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

(1) **36.1. რა ეწოდებოდა პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც რუკაზე წითელი ფერით არის აღნიშნული?**

ა) ომაიანთა სახალიფო;

ბ) სელჩუკთა სახელმწიფო;

გ) ილხანთა საყაენო;

დ) სასანიანთა ირანი.

(1) 36.2. რუკის მიხედვით, საქართველოს რომელი ქალაქი აიღო მწვანე ფერის ისრით აღნიშნულმა ჯარმა?

ა) ქუთაისი;

ბ) ცხუმი;

გ) ბიჭვინთა;

დ) ახალქალაქი.

(1) **36.3 რუკის მიხედვით, რომელი ინფორმაციაა მართებული რუკაზე ასახული ბოლო ბრძოლის შესახებ?**

ა) მწვანე ფერის ისრით აღნიშნულ ჯართან ბრძოლაში ბიზანტიელები დამარცხდნენ;

ბ) მწვანე ფერის ისრით აღნიშნულმა ლაშქარმა გაიმარჯვა და კონსტანტინოპოლი აიღო;

გ) მწვანე ფერის ისრით აღნიშნულმა ლაშქარმა გაიმარჯვა, მაგრამ ქალაქ ნიკეის ალყა მათთვის წარუმატებლად დასრულდა;

დ) მწვანე ფერის ისრით აღნიშნული ლაშქარი დამარცხდა და ლაშქრობა შეწყვიტა.

(1) **36.4. რუკის მიხედვით, რომელი ქალაქი იყო წითელი ფერით აღნიშნული სახელმწიფოს დედაქალაქი?**

ა) მერვი;

ბ) ნიშაპური;

გ) ისფაჰანი;

დ) ბაღდადი.

(1) **36.5. რუკის მიხედვით, რა ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო?**

ა) ქალაქების სიმრავლე;

ბ) ლაშქრობათა დიდი რაოდენობა;

გ) განსხვავებულ ფერებში აღნიშნული ტერიტორიები;

დ) ორი დედაქალაქის არსებობა.

(1) **36.6. რუკის მიხედვით, საიდან იწყება მწვანე ფერით აღნიშნული ჯარის ლაშქრობა?**

ა) მცირე აზიიდან;

ბ) არაბეთის ნახევარკუნძულიდან;

გ) ცენტრალური აზიიდან;

დ) კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროდან.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 37.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

37.1 კითხვაზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი ან შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

37.2 და 37.3 დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

37.4 დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება 37.

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ათენში არქონტმა სოლონმა რეფორმები გაატარა.

კითხვები:

(1) 37.1. რა იყო სოლონის მიერ რეფორმების გატარების უმთავრესი მიზეზი?

(1) 37.2. საზოგადოების რომელი ჯგუფისთვის იყო სოლონის რეფორმები დადებითი შედეგის მომტანი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) 37.3. საზოგადოების რომელი ჯგუფისთვის იყო სოლონის რეფორმები უარყოფითი შედეგის მომტანი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) 37.4. დაასახელეთ პიროვნება ათენის ისტორიიდან, რომლის მოღვაწეობა სოლონის მოღვაწეობის ანალოგიად შეიძლება ჩაითვალოს. აუცილებლად მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასადასტურებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



1804 წლის აჯანყება

მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს სამხედრო გზისპირის მოსახლეობა. XIX საუკუნის დასაწყისში ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც რუსეთს აკავშირებდა ახლად დაპყრობილ ქართლ-კახეთთან. ამ გზით მოდიოდა ჯარი და ფოსტა. ჯარების რეგულარული სვლის გამო გზა მაშინ დიდ მომსახურებას საჭიროებდა. მოითხოვდა შეკეთებასა და გაფართოებას, ზვავებისაგან გაწმენდას. ამ გზით მომავალი ჯარის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფას. ეს ვალდებულებები აწვა საქართველოს სამხედრო გზისპირა და მის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობას.

სულ რაღაც ორიოდე წელიწადში ხალხი წელში გაწყდა. როდესაც მოსახლეობა საჩივარს წერდა და მდგომარეობის შემსუბუქებას ითხოვდა, ადგილობრივი რუსული მმართველობა მთიელების ამ „საქციელს“ რუსი ხელმწიფისადმი მიცემული ფიცის გატეხად და ამბოხებად თვლიდა და დამსჯელი ექსპედიციით აწიოკებდა.

1804 წლის მაისის დასაწყისში ციციანოვმა რუსთა ჯარი ერევნისკენ სალაშქროდ დარაზმა. ამავე მიზეზით მან ანანურის მაზრის ქართველთა ლაშქარი იხმო. არაგველებიც გამოვიდნენ, მაგრამ არა ერევანში საომრად, არამედ თავისუფლებისათვის საბრძოლველად. აჯანყება მთიულებმა დაიწყეს. აჯანყებულებმა მოციქულები დაგზავნეს ქართლის მთიანეთში და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. აჯანყება სწრაფად გაფართოვდა. აჯანყებულებმა მოციქულები გაგზავნეს იმერეთში და იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს მოუწოდეს.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავადების პოზიციას. რუსეთის მთავრობა და ციციანოვი დიდ იმედებს ქსნის ერისთავებზე ამყარებდნენ. რუსეთის მთავრობამ, ქსნის ერისთავებს დაუბრუნა მეფე ერეკლე II-ის მიერ ჩამორთმეული ქსნის ხეობა და 4000 კომლი ყმა გლეხი.

ივნისში იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები იმერეთიდან ქართლში გადმოვიდნენ და აჯანყებულ მთიანეთში გაჭრას ცდილობდნენ. მათი მიზანი გაუქმებული სამეფო ხელისუფლების აღდგენა იყო. ბატონიშვილებმა ქართლის მთიანეთში აჯანყებულებთან გაჭრა ვერ მოახერხეს და კვლავ იმერეთს გაბრუნდნენ.

ცარიზმის მოხელეები შეეცადნენ აჯანყებულთა გათიშვასა და გადაბირებას მოსყიდვის გზით. ამ მიზნით მათ მთიულეთში მიავლინეს ამბროსი ნეკრესელი და თავადი რევაზ ერისთავი, ხოლო ფშავ-ხევსურეთში გაგზავნეს თავადები: მაყაშვილი და ქობულაშვილი, რათა ხევსურები ჩამოეშორებინათ აჯანყებისაგან.

3 აგვისტოს მოხდა ძლიერი შეტაკება მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის. აჯანყებულთა დასახმარებლად მოვიდა 500 ხევსური. 9 აგვისტოს, დილით, აჯანყებულ თანამოძმეთა გაერთიანებულმა ძალებმა მთავრობის ჯარებს გზები გადაუჭრეს და ალყაში მოაქციეს. აჯანყებულებმა ლომისა აიღეს. ლომისას აღების შემდეგ აჯანყება ქსნის ხეობასაც მოედო. სექტემბერში აჯანყებულ მთიანეთში გაჩნდა ფარნაოზ ბატონიშვილი, რომელსაც კახელი თავადების საგრძნობმა ნაწილმა მხარი დაუჭირა.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

საქართველოს მთავარმართებლის ციციანოვის ჯარი უკვე კარგა ხანია ერევანთან იბრძოდა. იგი სპარსეთში დაწყებულმა არეულობამ იხსნა სრული განადგურებისაგან. შაჰი ერევანს გაეცალა, მაგრამ ვერც ციციანოვმა შეძლო ამ ქალაქის აღება და სექტემბრის მიწურულს თბილისში დაბრუნდა.

ამასობაში რუსეთიდან დამატებითი ჯარები გამოგზავნეს. ოქტომბრის დასაწყისში უკვე რუსთა ჯარებმა აჯანყებულებს ყოველი მხრიდან შეუტიეს. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას თვითონ გენერალი ციციანოვი სარდლობდა. რუსთა ჯარები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულებს.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს ფარნაოზ ბატონიშვილი. დააპატიმრეს მისი ამალის წევრი თავადებიც, ციხეში გამოკეტეს 300-ზე მეტი კაცი. 1804 წლის აჯანყება იყო ქართველი ხალხის პირველი დიდი გამოსვლა ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ. ციციანოვი იძულებული გახდა მტკიცედ განესაზღვრა მთიელთა უფლება-მოვალეობანი გზის მომსახურების საქმეში და რამდენადმე შეეზღუდა რუს მოხელეთა ძალადობა.

(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 4. თბილსი 1973 წელი)

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **38.1.** დოკუმენტის მიხედვით, რა თანამდებობა ეკავა ციციანოვს?

(1) **38.2.** ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რატომ იქნებოდა მნიშვნელოვანი თუ ბატონიშვილები აჯანყებულებს შეუერთდებოდნენ?

(1) **38.3.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ იმედოვნებდა რუსეთის მთავრობა, რომ ქსნის ერისთავები მას დაეხმარებოდნენ?

(1) **38.4.** ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რატომ იმყოფებოდნენ აჯანყების დაწყებისას ბატონიშვილები იმერეთში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** დოკუმენტის მიხედვით, რამდენად წარმატებული აღმოჩნდა თავადების მაყაშვილისა და ქობულაშვილის მისია? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **38.6.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა მოჰყვა შედეგად ლომისას აღებას?

(2) **38.7.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ რა ევალებოდა საქართველოს სამხედრო გზის პირასა და მის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობას.

(2) **38.8.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ რას აკეთებდა ადგილობრივი რუსული მმართველობა მოსახლეობის ჩივილის საპასუხოდ.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) 38.9. დოკუმენტის მიხედვით, სად იყო წასული სალაშქროდ აჯანყების პირველ ეტაპზე ციციანოვი და კონკრეტულად რა შედეგით დასრულდა ეს ლაშქრობა რუსეთის იმპერიისათვის?

(2) 38.10. დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ რა მოიმოქმედა ციციანოვმა აჯანყების დასრულების შემდეგ სამხედრო გზისპირა მოსახლეობასთან დაკავშირებით.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე